განკარგულება:**g-87.87212165**
თარიღი:**04/08/2021**

განკარგულება №29

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ჯოყოლოს ყოფილი კულტურის სახლის შენობაში მდებარე 34კვ.მ ფართის ა(ა)იპ „როდი სკოტის სახელობის ფონდი საქართველო“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილის, 54-ე და 57-ე მუხლების, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს **ჯოყოლოს ყოფილი კულტურის სახლის შენობაში მდებარე 34კვ.მ ფართის ა(ა)იპ „როდი სკოტის სახელობის ფონდი საქართველო“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა.** (საკადასტრო კოდი: 50.07.31.032)

2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გასაცემი **ჯოყოლოს ყოფილი კულტურის სახლის შენობაში მდებარე 34კვ.მ ფართის** :

   ა) სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური 550.0(ხუთასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

   ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5 წელი.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ.N41)

თამარ ყეინიშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM